თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5343977

ნომერი: AR1793123

თარიღი : 07.12.2020

გაცემის თარიღი : 26.03.2021

გაცნობის თარიღი : 08.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N4; კორპუსი N5; კორპუსი N6; კორპუსი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 07 დეკემბრის №AR1793123 განმეორებითი განცხადება რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2020 წლის 09 დეკემბრის №5219035 ბრძანებით, 2021 წლის 26 იანვრის №5262981, 2021 წლის 04 თებერვლის №5277276 და 2021 წლის 18 თებრვლის №5295546 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, წარმოდგენილი მე-5 სახლის -3.10, მე-6 სახლის -4.10 ნიშნულების გეგმებით და გაერთიანებული სქემით დგინდება, რომ ავტოსადგომების საერთო ფართობში (580.4 კვ.მ) არ არის შეყვანილი ავტოსადგომების სავალი ნაწილების ფართობები (908.4 კვ.მ). ასევე, აღნიშნულ გეგმებზე არ არის დატანილი სავალი ნაწილის ფართობები (სავალი ნაწილის ფართობები მხოლოდ ექსპლიკაციებზეა დატანილი). შესაბამისად, საჭიროა შიდა ავტოსადგომების საერთო ფართობში შეყვანილ იქნას სავალი ნაწილების ფართობები და დაზუსტდეს მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებაში (სახლი №7) დასამატებელ შიდა ავტოსადგომების და გასასწორებელ საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
ასევე, ვინაიდან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებით შეთანხმებულ -3.10 ნიშნულის გეგმაზე (№5 სახლი) დაემატა დამხმარე ფართობი 52.6 კვ.მ საჭიროა აღნიშნული ფართობის დამატება მოითხოვოთ სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში (№5 სახლი). ასევე, ამავე გეგმაზე კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად მითითებული გაქვთ 67.6 კვ.მ, აღნიშნულის გათვალისწინებით დაჯამებული კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი შეადგენს 724.7 კვ.მ-ს, ხოლო სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში დაფიქსირებულია 730.9 კვ.მ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში დამხმარე ფართობის დამატებასთან და საჭიროების შემთხვევაში კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა და წარმოდგენილ იქნას ერთმანეთთან შესაბამისი შესწორებული მე-5 სახლის -3.10, მე-6 სახლის -4.10 ნიშნულების გეგმები და გაერთიანებული სქემა.
სამსახურის მიერ ხარვეზების გამოსწორებისთვის დამატებით განსაზღვრული 15 სამუშაო დღიდან დარჩენილია 01 (ერთი) სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2020 წლის 07 დეკემბრის №AR1793123 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.